პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით
პარასკევი, 5 სექტემბერი 1924 წ.
წელიწადი მეოთხე
ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წითელი არმიელი

№ 590 1 და 2 ქ. მ. დ. პოლიტ-განების ყოველდღ. გაზეთი
რედაქც. მის. ტფ., ევანგულოვის ქუჩა საველე ელ. 16
განცხადების ფასი პირველ გვერდზე 40 კაპ.—მეოთხეზე 20 კაპ. ჩერვონეც. ნომპარელის სტრიქონი სამგლოვიარო განცხადება 3 მან. ჩერვ. განცხადებები მორიგ ნომერში მიიღება მხოლოდ 1 საათამდე

მენშევიკების სამარცხვინო ავანტიურა სრული დამარცხებით დასრულდა

მუშურ-გლეხური ხელისუფლება მოსპობს ყაჩაღებს, რომ შემდეგში ველარ გაიმეორონ ასეთი ვერაგობა.

გაუმარჯოს პროლეტარიატის დიქტატურას

გაუმარჯოს წითელ ჯარს რევოლიუციის ერთგულ დამცველს და მშრომელი ხალხის მუყაით დარაჯს.

კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებს.

გახრწნილმა და გავერანებულმა მენშევიკურმა პარტიამ ერთხელ კიდევ ააშმორა ჰაერი.

მიუხედავად ყოველგვარ ზომების მიღებისა, მიუხედავად იმისა, რომ ისინი აგერ ოთხი წელია ფეხებზე კოცნიან დასავლეთ ევროპის იმპერიალისტებს: წამოდით ჩვენში და საბჭოთა მთავრობა მოსპეთო, მაინც არაფერი გამოუვიდათ და ამიტომ მიმართეს საზარელ და საზიზღარ ზომებს.

მათ მოძებნეს ყოფილი თავადები, აზნაურები, მემამულეები, ოფიცრები; მისცეს ამ ხალხს ოქროები. აი სწორედ ის ოქროები, რომელიც მენშევიკებმა საქართველოს გასაბჭოების დროს გაიტაცეს; დაპირდენ მემამულეებს ადგილების უკან დაბრუნებას, გაკრეჭილ ხუცესებს შეპირდენ ეკლესიების მიცემას, ცხელ-ცხელ ტაბლებს, მცხვრის ბეჭს და სხვა მრავალს.

ასეთი დაპირებით ნერწყვ მოსული ყველა ჯურის კონტრევოლიუცია შეერთდა ერთად და დაუწყეს ულარიბეს გლეხს და მუშას ტანჯვა და წამება.

ეს ხალხი დასაბამიდან მტერი იყო გლეხკაცობის და, რასაკვირველია, დღეს იარაღ ნაშოვნი არავითარ ზომებს არ მოერიდებოდა ოღონდ კი ღარიბ ხალხის სისხლით გამძღარიყო.

ასეც სჩადიან ისინი.

ვისაც ხელში იგდებენ იტაცებენ, ხვრეტენ, აწამებენ.

საქართველოს მშრომელთა წითელი არმია და მშრომელი მასა ერთხმად მოითხოვს ამ ვერაგების სასტიკ დასჯას.

ჩვენ ყოველთვის ლმობიერნი ვიყავით.

დღიდან გასაბჭოებისა მტრობის მეტი არაფერი გვახსოვს მენშევიკებიდან.

მიუხედავად ამისა ჩვენ მაინც ბევრი ვაპატიეთ მათ.

მაგრამ დღეს, როდესაც მენშევიკებმა ხალხის მტერი თოფითა და მახვილით შეაიარაღეს და იარაღით ხელში ხვრეტენ ეს ყაჩაღები საბჭოთა ხელისუფლების თავდადებულ მომუშავეთ, ჩვენც ხელი უნდა ავიღოთ ლმობიერებაზე.

არავითარი შებრალება და პატიება ხალხის მოსისხლე მტერთ, ხალხის ხორცის მჭამელს და სისხლის მსმელს!

სიკვდილი ყველა მათ, ვინც მშრომელ ხალხის შვილებს ყაჩაღურად ხვრეტს და სტანჯავს.

სიკვდილი მათ, ვინც ბავშვებს, ქალებს და მოხუცთ აწიოკებს.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს რევოლიუციის და რევოლიუციით მოპოებულ თავისუფლების ერთგულ დამცველს!

ზიზღი და კრულვა მშრომელი ხალხის ჯალათებს.

№ ნაწილის უფროსის საუბრიდან მკითხველი ერთხელ კიდევ ზედმეტად დაინახავს, თუ რა ჯურის ხალხია ის ვაჟბატონები, რომლებმაც ააწიოკეს ბავშვები და ქალები ჩვენი ქვეყნის ზოგიერთ კუთხეში.

ჩვენ რევოლიუციის დაწყებისთანავე ვამბობდით, რომ სოციალ-დემოკრატია, ფედერალისტები, ესერები, ნაციონალ-დემოკრატები და ძმანი მათნი, არიან მუშისა და ღარიბი ხალხის მოსისხლე მტრები. ვამბობდით, რომ ეს ვაჟბატონები თავის კეთილდღეობისათვის ცალკე და ბითუმად ყიდიან მშრომელი ხალხის ინტერესებს.

გასაბჭოებამდე და გასაბჭოების შემდეგაც ავღნიშნავდით, რომ ეს პარტიები მხოლოდ ხალხის შევიწროებით, გაყვლეფით და შემუსვრით იყვნენ და არიან დაინტერესებულნი.

საკუთარი ბედნიერება, საკუთარი მუცელი და ხალხი თუ გინდ წყალს წაუღია ადიდებულს.

აი ამ ხალხის სურვილ-განზრახვანი.

ეს ასე არის. ავღნიშნავდით ჩვენ ამას, მაგრამ ხალხში მაინც მოიპოებოდა თითო ოროლა გულუბრყვილო მოქალაქე, რომელიც მართალია მათზე გულ გაცრუებული იყო, მაგრამ მაინც ყოყმანს განიცდიდა.

დღეს კი ის, ვინც ჩვენი თანამშრომლის № ნაწილის უფროსთან საუბარს წაიკითხავს აშკარად დაინახავს, თუ რა ხალხთან გვაქვს საქმე.

ბანდები, რომლებმაც მშრომელი ხალხის მყუდროება დაარღვიეს—მარიამობაზე საქეიფოთ მოსული თეთრ ბლუზებში გამოწყობილი ხალხია.

მათ მხარს უმშვენებენ გაკრეჭილი მღვდლები ოლარით და საცეცხლურით.

ეს ვაჟბატონები არ ერიდებიან არაფერს და ვისაც კი წვდებიან ტანჯვის ცეცხლს აძლევენ.

გაბრაზებულები მშრომელ ხალხზე და მის მუშურ მთავრობაზე ამტვრევენ და ამსხვრევენ უკვდავი ბელადების და მსოფლიო პროლეტარიატის წინამძღოლების ამხ. მარქსის და ლენინის ძეგლებს.

საბჭოთა ხელისუფლების თავდადებულ მომუშავეთ თვითისამართლებენ, ყაჩაღურად კლავენ.

და ამის შემდეგ რა ნება აქვს ჟორდანია—ჩხეიძეებს სოციალისტობაზე ლაპარაკის, ხალხის ძმობაზე და ერთობაზე?

იგინი სოციალისტები არასოდეს არ იყვნენ. მით უფრო არ არიან დღეს.

მენშევიკური პარტია არის მდიდრების პარტია; სამღვდელოება, თავადები, აზნაურები და ძველი ოფიცრობა-აი მათი ჯარი და ამალა.

ამ ვაჟბატონებმა მოისურვეს იარაღით ხელში მშრომელი ხალხის გულის გაგმირვა.

საქართველოს პროლეტარიატი: ჯარი, მუშა და ღარიბი გლეხობა ვერ ითმენს ასეთ ვერაგობას და ერთხმად მოითხოვს სასტიკად დაისაჯონ ხალხის მოსისხლე მტრები.

ძირს მენშევიკები და მათი ამალა გაკრეჭილი მღვდლები, თავადები და ოფიცრები!

გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს წითელ ჯარს!

ლახვარი.

ბორჯომის პროლეტარიატი მენშევიკების ავანტიურის შესახებ.

მრავალრიცხოვან მიტინგზე, რომელსაც დაესწრო ბორჯომის ქარხნების მუშა-მოსამსახურეები, ადგილობრივი გარნიზონი და საბჭოთა დაწესებულებების მუშები, საინფორმაციო მოხსენება გააკეთა პარტკომის მდივანმა. საერთო კრებამ ერთხმად მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„ბანდიტ მენშევიკების და საქართველოს სხვა კონტრ-რევოლიუციონურ პარტიების გამოსვლას ხელმძღვანელობდა მუშათა და გლეხების გამცემი—მე-2-რე ინტერნაციონალის ბანდები. კრება იწონებს განაჩენს, რომელიც მიუსაჯა 44 ბანდიტების მეთაურს და მოითხოვს მთავრობისაგან ასეთსავე სამართლიან სასჯელს სხვა დანარჩენ ბანდიტ-მენშევიკების მიმართ.

საქართველოს კომპარტიის ყოველ დაღუპულ წევრის და უპარტიო მუშა და გლეხის მაგივრად—ასეული ბანდიტ-მენშევიკები.

ჩვენ იარაღით ხელში მუდამ მზად ვიქნებით მათ წინააღმდეგ.

შორს ამ.-კავკასიიდან ბურჟუაზიის ლაქია—მენშევიკები!

ძირს გამცემლები და სისხლის მსმელები!

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ მთავრობას.

გაუმარჯოს კომპარტიას!

მენშევიკური ავანტიურა დამარცხდა.

ზუგდიდი.

ბანდიტებმა მოკლეს ალმასკომის თავმჯდომარე ამხ. როგავა.

ნაწამები ამხანაგები.

კავთისხევში აწამეს ალმასკომის თავმჯდომარე და რამოდენიმე კომუნისტი.

რას თხოვულობდენ ბანდიტები.

ზუგდიდის და ახალსენაკის რაიონებში ბანდიტებმა მოითხოვეს შერიგება საზღვარგარეთ მათი გაშვების პირობით. მაგრამ ჩვენი რაზმები ბანდიტებთან არავითარ მოლაპარაკებაზე არ წავიდენ და განაგრძობდენ მათ დევნას. დაჭერილი ბანდიტები დახვრეტილ იქნენ.

როგორ უნდოდათ ხალხის მოტყუილება.

ყველა რაიონებში, სადაც კი ბანდიტები გამოდიოდენ, ისინი უსირცხვილოდ ატყუილებდენ მცხოვრებლებს, ავრცელებდენ რა სასაცილო ხმებს, რომ ვითომ საქართველოს მოსახლეობა, როგორც ერთი კაცი, აღსდგა დღეს მოძალადეთა წინააღმდეგ, რომ ვითომ კომუნისტების ხელისუფლების წინააღმდეგ აღსდგენ კავკასიის ყველა ხალხები, რომ კავკასიასთან ერთად აჯანყებას იწყებს მთელი რუსეთიც. ამას გარდა ბანდიტები არწმუნებდენ მოსახლეობას, რომ ვითომ ბათომში ინგლისელებმა გადმოსხეს დესანტი, ჩამოვიდა თვითონ ნოე ჟორდანია, რომ თბილისი დაკავებულია და სხვა სისულელეები.

ბანდიტების დაჭერა.

საბერიოს რაიონში (სამურზაყანო.)

ბანდიტების მეთაურათ იყო ყოფ. თავადი ჩხოტუა. ორ დღეში ტყვეთ იქნა წამოყვანილი 204 ბანდიტი.

რას მოითხოვს გლეხობა.

ჩიბურისხინჯის ღარიბ გლეხების კრება მოითხოვს მეთაურების დახვრეტას და დაჭრილ ბანდიტთა გამოყენებას სარწყავ არხების გასაყვანათ. გლეხები ყველგან ნებაყოფლობით ეხმარებოდენ ჩვენს რაზმებს.

თავად ტ. წერეთლის „მთავრობა“

ჰიათურაში ბანდიტების ჯგუფი ყოფილ თავად წერეთლის მეთაურობით თავისთავს უწოდებდა დროებით რევოლიუციონურ მთავრობას. ბანდიტების ამ ჯგუფმა გამოუშვა მოწოდება, რომელითაც „ქალაქ ჰიათურაში და მის რაიონში საჩქაროთ საალყო წესები გამოაცხადა“. ეს „მთავრობა“ ყველაზე მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა, რომელმაც მხოლოდ რამოდენიმე საათი იარსება.

აჭარისტანში სრული წესრიგია.

ბათომი. 3 სექტემბერი. აჭარისტანში სრული წესრიგია. მუშების და გლეხების განწყობილება მტკიცეა. გლეხების მიტინგებზე და კრებებზე ბათომში და აჭარისტანის მაზრებში გამოაქვთ დადგენილებები, რომლებშიაც მუშები და გლეხები ჰკიცხავენ ბანდიტ-მენშევიკებს, რომლებმაც აჯანყება მოაწყვეს მუშების და გლეხების წინააღმდეგ; მუშები და გლეხები წყევლა-კრულვით იხსენიებენ მათ საბჭოთა ხელისუფლების მშვიდობიანი აღმშენებლობის დარღვევისათვის.

აჭარისტანის მუშები და გლეხები მიიღებენ ენერგიულ ზომებს მენშევიკ-ბანდიტების გამოსვლების ცდების შეუბრალებლად ჩაქრობისათვის.

ინგლისის პროფკავშირთა კონგრესი.

ჰულში 2 სექტემბერს საღამოს კომპარტიამ მოაწყო დემონსტრაცია, რომელზედაც სიტყვები წარმოსთქვეს კომპარტიის გამოჩენილმა ბელადებმა.

აუდიტორიაში იმყოფებოდა კონგრესის რამოდენიმე დელეგატი.

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოსაგან.

მთავრობის ცნობა.

მთავრობა ამით აუწყებს რესპუბლიკის მცხოვრებთ მენშევიკებისა და თავადების საზიზღარი ავანტიურის სრული ლიკვიდაციის შესახებ. შეთქმულთა ბანდები ყოველგან გაფანტულია და ნაწილობრივ დაკავებული. ზოგ ადგილებში ბანდებმა მთელი შემადგენლობით დაჰყარეს იარაღი და დაგვნებდენ, ზოგან კი მიატოვეს რა „ტყვე" მოქალაქეები, ქალები და ბავშვები, რომლებიც წაიყვანეს პირველი თავდასხმის დროს, გარბიან მთებში და სხვა და სხვა საშუალებებით სურთ გაიგონ ხელისუფლების ორგანოებისაგან დანებების პირობები. ხელისუფლების ორგანოები, თავისთავად ცხადია, არავითარ მოლაპარაკებას დანებების პირობების შესახებ არ მართავენ და გადაჭრით მოითხოვენ დანებებას ყოველგვარი პირობების გარეშე.

მაგრამ გაუწია რა ანგარიში მასიურ თხოვნებს პატიების შესახებ, ხელისუფლებამ 5 სექტემბერი დანიშნა ნებაყოფლობითი დანებების უკანასკნელ დღეთ და ამ ვადის გასვლამდი გამოცხადებულთ აღუთქვა ნაკლებ მკაცრი სასჯელი.

თავად-აზნაურების და მენშევიკების შეთქმულების ასე დაბოლავებისა და ყოველგან წესრიგის აღდგენის გამო მთავრობა სწყვეტს მუშურ-გლეხური წყობილების წინააღმდეგ მიმართული სამარცხვინო ავანტიურის შესახებ მთავრობის ცნობების გამოქვეყნებას.

ტფილისის პროლეტარიატის პროტესტი.

გუშინ ტფილისში მოხდა ტფილისის პროლეტარიატის მასიური საპროტესტო დემონსტრაციები. ყველა მუშა და პატიოსანი მოქალაქე ქუჩებში იყო თავის ზიზღის და წყევლის გამოსათქმელად მენშევიკების მიმართ.

გამოტანილი იქნა სათანადო რეზოლიუციები, სადაც წყევლით იხსენიებენ ბანდიტ-მენშევიკებს მშრომელებზე თავდასხმის გამო (დაწვრილებით ხვალის №-ში).

დილის სხდომა.

დილის სხდომაზე გარრი პოლიტმა (კომუნისტი) ილაპარაკა საერთაშორისო მთლიანობის მიღწევა შეუძლებელია, სანამ ინგლისის პროფკავშირები არ იცნობენ საბჭოთა პროფკავშირებს.

ჩვენ ინგლისელებმა, რომლებიც შევადგენთ ამსტერდამის უძლიერეს ნაწილს უნდა გამოვიყენოთ ჩვენი ძალა და ხელი შეუშალოთ მთლიანობის საბოტაჟს.

სრულიად კავშირის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დელეგაცია გულეში.

სამ სექტემბერს გულეში მივიდა პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს დელეგაცია.

დელეგაცია უნდა დასწრებოდა კონგრესის 3 სექტემბრის სხდომას.

მასარიკი სავინკოვის შესახებ.

ჩეხო-სლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტ მასარიკის კანცელარია აქვეყნებს ცნობას სავინკოვის შესახებ, რომ პრეზიდენტი დახმარებას უწევდა სავინკოვს ტერორისტულ აქტების შესრულებაში.

მასარიკი აცხადებს, რომ სავინკოვი არავითარ დახმარებას ჩემგან არ ღებულობდაო.

„შესაძლებელია, რომ სავინკოვს დახმარებას აძლევდა ჩეხო-სლოვაკიის ნაციონალურ საბჭოს მდივანი კლეცანდო, რომელიც გარდაიცვალა და ვერ ჩააბარა ანგარიში დახარჯულ თანხებისა".

ჩეხიის გაზეთების უმეტესობა დაკმაყოფილდა როსტას ცნობით სავინკოვის შესახებ.

ერთა ლიგის სესიის მუშაობა.

ერიოს მოხსენება.

ერიოს მოხსენება ჟენევაში, რომელიც გამსჭვალული იყო მშვიდობიანობის სურვილით, არ ეთანხმება საფრანგეთის გენერლების პოზიციას.

შვეიცარიის გაზეთის წერილი.

შვეიცარიის გაზეთი „ნეიე ციურიხელ ცეიტუნგი" მწუხარებას გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ საბჭოთა კავშირი არ დაესწრება ერთა ლიგას, თუნდაც „დამსწრეს" სახით.

„საბჭოთა დელეგატი—ამბობს გაზეთი-სულ ადვილად მიიღებდა ამისათვის საჭირო შვიცარიის ვიზასო". გაზეთი ამტკიცებს, რომ სსრკ-მ უნდა შესწყვიტოს ბოიკოტი შვეიცარიის მიმართ, ვინაიდან არ შეიძლება პასუხის მგებლობა დაეკისროს შვეიცარიის მთავრობას ვოროვსკის მკვლელობაშიო: გაზეთი ხაზს უსვამს, რომ ეს ადვილია და არავითარი ნოტა შვეიცარიისადმი საჭირო არ არის, არამედ საკმარისია მხოლოდ ამის შესახებ ცნობის გამოქვეყნება საბჭოთა პრესაში.

ოსმალეთის დელეგაცია ჟენევაში.

სტამბოლიდან მიღებულ ცნობებით ოსმალეთის ნაციონალურ საბჭოს თავმჯდომარის ფეტი ბეის (ოსმალეთის დელეგაციის მეთაური ჟენევაში) დანიშვნას ოსმალეთის პოლიტიკურ წრეებში ისე უყურებენ, როგორც ანგორის პოზიციის შეცვლის ნიშანს მოსულის საკითხში.

კონტროლის ახალი პროექტი გერმანიის შეიარაღებაზე.

გაზეთ „მატენის"-ს ცნობით ლორდ-პარმური ფიქრობს შეიტანოს ახალი გეგმა გერმანიის შეიარაღების კონტროლის შესახებ.

როგორც იუწყებიან კონტროლის ახალი პროექტი შეიცავს უფრო რბილ პირობებს გერმანიისათვის, ვინემ ეს სასურველია საფრანგეთის ნაციონალისტებისათვის.

პრესა.

პარიზის გაზეთები აღნიშნავენ ერთა ლიგის მეხუთე სესიის დიდ მნიშვნელობას და აცხადებენ, რომ საფრანგეთის დელეგაცია კარგად გრძნობს თავს სესიაშიო.

მოხსენება სესიაში.

იაპონიის დელეგატმა იშიმ მოხსენება გააკეთა ერთა ლიგის მოღვაწეობის შესახებ მიმდინარე წლის განმავლობაში, ინგლისის დელეგატმა—მურეიმ—ეროვნულ უმცირესობის შესახებ, ნანსენმა—საერთაშორისო ტრიბუნალის საქმიანობის შესახებ.

მორიგი ცნობანი.

ინგლისის ადმირალი რუმინეთში.

რუმინეთის პრესის ნაწილი ინგლისის ადმირალის—ბიტტის რუმინეთში მისვლას მიაწერს სტრატეგიულ ხასიათს.

რეაქციონური გაზეთი „ლუპტა" აცხადებს, რომ ადმირალის მისვლის მიზანია შავი ზღვის ნავთ-სადგურებისა და ქვემო დუნაის დათვალიერება, დიდი სახელმწიფოების სამხედრო პოლიტიკის თვალსაზრისით. გაზეთის სიტყვით დათვალიერებას მიზნად აქვს ზომების მიღება ვითომდა მოსალოდნელ მოქმედების წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის მხრივ.

აურ-ზაური რუმინეთში.

„ადევერული" სწერს: თუ რომ მოხდება საბჭოთა კავშირის ცნობა ჩეხო-სლოვაკიისა და სამხრეთ-სლავიის მიერ, რუმინეთმა უნდა მოაგვაროს საბჭოთა-კავშირთან გაუგებრობა, რაც ემუქრება რუმინეთის სახელმწიფოს მშვიდობიანობას".

რეაქციონური გაზეთი „ლუპტაც" კი აცხადებს, რომ თუ საფრანგეთი იცნობს საბჭოთა კავშირს, იმ შემთხვევაში რუმინეთს არ შეუძლია თავი შეიკავოს საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკებისაგან ბესარაბიის საკითხის გულისათვის და იძულებული იქნება იცნოს საბჭოთა კავშირი.

პრესის ასეთი გამოსვლები გამოწვეული არიან საბჭოთა კავშირის მოსალოდნელ ცნობით სამხრეთ-სლავიის მიერ.

მათ ხელმძღვანელობენ სამღვდელოება და უქმი ინტელიგენცია.

(№ ნაწილის მეთაურის საუბარი ჩვენ თანამშრომელთან).

№ ნაწილის მეთაურმა, რომელიც გაგზავნილი იყო ამ დღეებში სოფლად ბანდიტების გამოსვლების გამო, შემდეგი ცნობები გადმოგვცა:

„სამტრედიაში ჩასვლისთანავე ქართული დივიზიის № ნაწილი უფროსის განკარგულებით გაიგზავნა შემდეგ მიმართულებით: ეწერი, საჰილო, გუგუნაკარი, კულაში, ქოლობანი, გეზათი, გულუხეთი, და მივიდა სადგურ აბაშაში. აღსანიშნავია წითელ-არმიელთა განწყობილება, რომლებიც სასტიკად იყვნენ აღშფოთებული მენშევიკ-ბანდიტების ვერაგული გამოსვლებით და მოუთმენლად იჩქაროდენ მათთან შეხვედრას.

მიაღწია თუ არა ნაწილმა სოფელ ქოლობანს, სოფლიდან გამოქცეულებმა და მზვერავებმა მოიტანეს ცნობა, რომ კოოპერატივთან ვიღაცეები შეკრებილან და კითხულობენ რაღაც ფურცლებსო.

მიუხედავად ბნელი ღამისა, სასწრაფოდ იქნა გაცემული განკარგულება, რათა გარშემორტყმული ყოფილიყო ის ადგილი.

დაიძრა თუ არა ნაწილი ამ ამოცანის ასასრულებლად, ბანდიტებმა ასტეხეს სროლა. დაყენებულ იქნა საჩქაროდ ნაწილის ტყვიამფრქვევები, რომლებმაც იწყეს სროლა კოოპერატივის მიმართულებით. ცოტა ხნის შემდეგ გაიგზავნა მზვერავი რაზმი, რომელმაც შეიპყრო რამოდენიმე კაცი, და მოიყვანა. მათ შორის უმეტესად ახალგაზრდობა აღმოჩნდა.

შეკითხვებზე იმათ განაცხადეს, რომ ისინი სტუმრად არიან მოსული მარიამობის დღესასწაულზეო.

სოფელ ქოლობნიდან გასვლის შემდეგ ჩვენი ნაწილი მოექცა სროლაში სამი მხრიდან, **მაგრამ გამოცდილ მეთაურთა და პოლიტხელმძღვანელთა სასწრაფოდ მიღებულ ზომებით, რამოდენიმე წუთის განმავლობაში, მცირე სროლის შემდეგ და სრულიად უმ ხვერპლოდ ჩვენის მხრივ,-ბანდ ტები გაფანტულ იქნენ.** ასეთი შეტაკებები ხდებოდა თითქმის მთე გზაზე სოფელში წინსვლის დრო

სოფ. აბაშაში მისვლისას მიღ ბულ იქნა ცნობა, რომ კანცელ რიაში დაპატიმრებულია კომუნი ტებიო, მაგრამ ისინი ჩქარა იქნე განთავისუფლებული და ნაწილი ინტერნაციონალის სიმღერით მ ვიდა ადგილობრივ აღმასკომის შ ნობამდი. ჩავედით თუ არა სადგუ აბაშაში დავინახეთ ბანდიტების მიე დანგრეული—მარქსისა და ლენინი ძეგლები, რამაც დიდად აღაშფოთა წითელ არმიელები.

მნახველები მოგვითხრობდენ, რომ ბანდების თარეშის დროს აბაშაში დიდის ზეიმით დასეირნობდა სამღვდელოება ახალ ანაფორებში გამოწყობილიო.

ადგილობრივი მცხოვრებლებ დარწმუნებული ყოფილიყვნენ ბანდიტების მიერ, რომ ტფილისი, ქუთაისი და ბათუმი აღებულია ჩვე მიერო, მაგრამ მიიღეს თუ არა ჩვენგან სწორი ცნობები, ისინი სასტიკად აღშფოთდნენ და დარწმუნდნე სინამდვილეში.

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ნაწილი **მეტად იყო დაღლილი და ამასთან ორი დღის განმავლობაში მათ პური არ ჰქონიათ დაბრკოლებათა გამო, წითელ არმიელებს ერთი საყვედურიც არ გამოუთქვამთ, პირიქით—ამბობდენ, რომ ჩვენ ვაშლებითაც გავიტანთ თავსო, რომლებიც თვით სოფლელებს გამოჰქონდათ და აწვდიდენ მათ.**

აღსანიშნავია ენერგია და თავდადება ჩვენი ნაწილის წითელ არმიელებისა, რომელთა შორის 30 პროცენტს მეგრელი ახალგაზრდობა შეადგენს.

გერმანია კაპიტულაციის შემდეგ.

მარქსის ნუგეშის მცემელი.

ჰანოვერში მოხდა კატოლიკური მიტინგი, რომელზედაც კანცლერ მარქსი მოუწოდებდა იმედიანობისაკენ, ვინაიდან „თუ გერმანიის ხალხს არ ექნა რწმენა მომავლისა, ის ვერ შესძლებს გადაიტანოს ის მძიმე ტვირთი, რომელიც დააკისრეს მას.

მოსტყუვდენ.

საფრანგეთის ნახევრად ოფიციალურ ცნობამ დორტმუნდის ევაკუაციის გადადების შესახებ მეტად გაუცრუა იმედები დორტმუნდის მოსახლეობას. 3 სექტემბერს ბერლინიდან მიღებულ ცნობით ნახევრად მტკიცდებოდა, რომ ლონდონის შეთანხმების ძალით საფრანგეთის ჯარებს ეძლევათ უფლება დარჩენ დორტმუნდში 9—10 ოქტომბრამდის.

მისი უდიდებულესობა ოუენ 1-ლი.

გენერალურ აგენტმა სარეპარაციო საქმეებში ოუენ იუნგმა 28 სექტემბერს პირველად გაუკეთა მოხსენება სარეპარაციო კომისიას მის მიერ მიღებულ ზომების შესახებ.

იუნგთან სხვათა შორის იმუშავებს დოუესის ძმა, რომელიც ამ დღეებში მივიდა ნიუ-იორკიდან შერბურგში.

მაკდონალდი ინგლის-საბჭოთა მოლაპარაკების შესახებ.

მაკდონალდი ამბობს; „ინგლის-საბჭოთა ხელშეკრულების შესახებ იწერება მრავალი სისულე. ჩვენ არას შემთხვევაში არ შევცვლით პოზიციას".

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენშევიკური ავანტიურის ლიკვიდაცია.

მენშევიკების ვერაგობა და წითელი ჯარის პასუხი.

ტერიტორიალური ლეგიონის ხმა.

მოვისმინეთ რა მოხსენება მიმდინარე მომენტზე და მენშევიკურ ავანტიურის შესახებ, ტერიტორიალური ლეგიონის წითელ არმიელები და უფპოლიტშემადგენლობა აცხადებს:

„საერთაშორისო მდგომარეობიდან ნათლად სჩანს, რომ ოდესღაც მუშათა კლასის დამცველი სოციალ-დემოკრატიული პარტია „მენშევიკებისა" დიდი ხანია რაც გადიჩეხა ოპორტიუნიზმში, რომლებიც „სოციალისტური" იარლიკით გვერდზე ამოუდგა მუშათა კლასის სისხლის მსმელ ბურჟუაზიას. ამას ნათლად ამტკიცებს დღევანდელი მათი ლაქიობა საერთაშორისო იმპერიალისტების წინაშე და საქართველოს აწ ლეშათ გახრწნილ „მენშევიკების" მუშაობა, რომელთაც სურთ თავის ავანტიურისტული გამოსვლებით სისხლში ჩაახრჩონ მუშათა კლასი და მისი მებაირახტრე საქართველოს კომუნისტური პარტია. ამას ამტკიცებს ყოველი მათი მოქმედება საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში, რომელიც გვავალებს ჩვენ სასტიკ ბრძოლას მათ წინააღმდეგ. ლეგიონი ფიცსა სდებს პროლეტარულ რევოლიუციის წინაშე, რომ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს საქართველოს მუშათა კლასს და მოითხოვს ავანტიურისტ-მენშევიკებს ერთხელ და სამუდამოდ ფიზიკურად განადგურებას. ჩვენ მზად ვართ ავანტიურისტების საპასუხოდ.

სიკვდილი ბანდიტებს და ყველა მათ დამქაშებს.

გაუმარჯოს მშრომელთა ინტერესების ერთათ-ერთ დამცველ კომუნისტურ პარტიას.

გაუმარჯოს მუშურ-გლეხურ საბჭოთა საქართველოს.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნისტურ რევოლიუციას.

კრების თავმჯდომარე წითელ არმიელი: ი. მელიქაძე.

მე 3 ლეგიონის მსჯავრი თავხედ მენშევიკების მიმართ.

ჩვენ, პირველი ქართული დივიზიის მე-3-ე ლეგიონის წითელ არმიელებმა და გორის მაზრის კომუნარებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება ამხ. ვ. ხობუას და სიხარულიძის მუხანათ მენშევიკების მიერ მოწყობილ ბანდიტურ გამოსვლების შესახებ, ვადგენთ:

„სასტიკი ზიზღი და წყევლა-კრულვა გამოეცხადოს იმ ერთ მუჭა მუქთა ხორებს, რომლებიც ლამობენ ხელი შეუშალონ საბჭოთა ხელისუფლებას მშვიდობიან აღმშენებლობის საქმეში, მათი ვერაგული, სისხლის მღვრელი გამოსვლით.

მთავრობის მიერ მიღებული ზომები ბანდიტიზმის ძირ-ბუდიანად აღმოსაფხვრელად მოწონებული იქნა და ეთხოვოს მას, რათა მეტი უსასტიკესი ზომები მიიღოს მათი ერთხელ და სამუდამოდ ასალაგმავად".

კ.

საპროტესტო მიტინგი პირველ ლეგიონში.

ჩვენი მოსისხლე მტრები—კიდევ არ ისვენებენ და ხელს უშლიან საბჭოთა ხელის უფლებას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ დაწყებულ საქმის დასრულებას· ჩვენი კლასიური მტრები ყოველ დღეს ხმარობენ, რომ გაანადგურონ მუშურ-გლეხური ხელისუფლება. გაკოტრებული და გათახსირებული მეორე ინტერნაციონალის ბელადებმა შეეცადენ მშრომელი ხალხის ბრძოლის ველზე გამოყვანა, რაც უკანასკნელად მათ სამარცხვინოთ დასრულდა.

დღეს, როდესაც მშრომელი ხალხი მშვიდობიან, კულტურულ აღმშენებლობით მუშაობას ეწევა, მენშევიკები საქართველოში აწყობენ ავანტიურისტულ კონტრ-რევოლიუციონურ გამოსვლებს მუშების წინააღმდეგ. იმათ ჯერ კიდევ ვერ შეუგნიათ საბჭოთა ხელისუფლების ძლიერება და სიმტკიცე. მშრომელი ხალხი თავზე დამსხმელებს მიუხჯის საკადრის სასჯელს, მოღალატეებს არ მიეცემა საშუალება ელები გაიბანონ მუშების და გლეხების სისხლში. ჩვენ მტკიცეთ ვდგევართ კომპარტიის რიგებში და ასეთი თავხედურ გამოსვლებს ბოლოს მოუღებთ მუშათა კლასის მტრების ერთხელ და სამუდამოთ დასამარებით.

მენშევიკების ყაჩაღურ გამოსვლების გამო ა. წ. 1 სექტემბერს მოწვეული იქმნა 1-ლ ლეგიონში საპროტესტო მიტინგი, რომელსაც დაესწრო ლეგიონის ყველა წითელ მოლაშქრეები და აგრეთვე უფპოლიტშემადგენლობა, არტპარკიდანაც.

საქართველოში მენშევიკ-ბანდიტთა გამოსვლების შესახებ ილაპარაკა პოლიტ-განყოფილების წარმომადგენელმა ამხ. კაპარავამ, რომელმაც ვრცლად გააშუქა გამყიდველ მენშევიკების საქართველოს მშრომელ ხალხზე ავაზაკური თავდასხმის განზრახვების მნიშვნელობა.

იმავე თემაზე აგრეთვე ილაპარაკა სამხკომმა ამხ. ბაახიამ. მოხსენების დასასრულ იქნა შემოტანილი მრავალი შეკითხვები, რომელზედაც ამხ. მომხსენებლებმა პასუხი გასცა, რის შემდეგ იქმნა გამოტანილი რეზოლიუცია.

სანი იმნაიშვილი.

(რეზოლიუცია მოთავსებული იყო ჩვენი გაზეთის № 588-ში.)

ამხ. ფილიპე მახარაძე ბათომში.

(წერილი ბათუმიდან).

ბათომის მუშებმა, გაიგეს თუ არა ამხ. ფ. მახარაძის ჩამოსვლა ბათომში, სთხოვეს მას გაეკეთებია მოხსენება მომხდარ ამბების შესახებ.

2 სექტემბერს ამხ. მახარაძემ გააკეთა მოხსენება მრავალრიცხოვან მუშების წინაშე.

ამხ. მახარაძემ სთქვა:

„თქვენ დღეს შეიკრიბენით განსაკუთრებულ პირობებში. ვის შეეძლო ეფიქრა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ვინმე გაბედავდა თავს დასხმოდა მშრომელებს?

ჩვენ ჩავებით აღმშენებლობით მუშაობაში.

ჩვენ ძალიან ღმობიერად ვეპყრობოდით მენშევიკებს იმ რწმენით, რომ დღეს, როდესაც მშრომელთა ხელისუფლება განმტკიცდა, როცა ჩვენთან ხელშეკრულებას სდებენ მტრულად განწყობილი ქვეყნები, არ მოინახებოდენ უგონო ადამიარები, რომლებიც შეეცდებოდენ ძალაუფლების ხელში ჩაგდებას.

მენშევიკებთან დავა ძველი დავაა, რომელიც 20 წლის განმავლობაში გრძელდება. ჩიმათ გამოამჟღავნეს თავის თავი, როგორც მუშათა კლასის მოწინააღმდეგეებმა, როგორც ბურჟუაზიასთან შემთანხმებლებმა, რომლებიც თებერვლის რევოლიუციასაც კი ეწინააღმდეგებოდენ.

აი, ამხანაგებო, ვისთან გვქონდა ჩვენ საქმე! ჩვენ შემოქმედებითი მუშაობის დროს, როდესაც ბურჟუაზიულმა ქვეყნებმაც კი უარი სთქვეს ჩვენს წინააღმდეგ აშკარა ბრძოლაზე იმათ მიმართეს ნაცად საშუალებას—პროვოკაციას.

მე კი ვაცხადებ: საბჭოთა ხელისუფლებამ 3 წლის განმავლობაში ბევრი გააკეთა მუშებისა და გლეხებისათვის, მაგრამ ჩვენი მტრები ანგარიშს არ უწევდენ ამას, სცდილობდენ შეესუსტებიათ ჩვენი ხელისუფლება და ყოველი წვრილმანებით მოქმედებდენ შეუგნებელ მასებზე. ჩვენ დაუშვით ჩვენს წრეში ის ადამიანები, რომლებიც, გვეხონა, ყოველგვარ ბოროტ ზრაგვების გარეშე იმუშავებდენ მშრომელთა სასარგებლოთ. ჩვენ არ ვუხდიდით მათ სამაგიეროს წარსულისათვის. ჩვენს ნდობაში მოტყუებული დავრჩით. ჩვენს დაწესებულებებში მოკალათების შემდეგ ისინი გამცემლები აღმოჩნდნენ. უკანასკნელი მათი ავანტიურას მძიმე გავლენას მოახდენ მშრომელებზე.

ჩვენ არ დაუშვებთ, რათა პროლეტარიატმა უდიდეს ტერიტორიაზე ხელში ჩაგდებული ძალა-უფლება დაუთმოს ვისმეს.

ყოფილმა თავადებმა და გენერლებმა, მენშევიკებთან გაერთიანების დროს იცოდენ, რომ მათ რამდენიმე საათითაც არ შეუძლიათ ძალაუფლების ხელში ჩაგდება. ცხადია აქ ადგილი ჰქონდა ავანტიურას, მათ მოატყუეს ხალხი, როდესაც უთხრეს, რომ ძალა-უფლება ყველგან მათ ხელში გადავიდაო. თქვენ, მუშებო, უნდა იცოდეთ, რომ კაპიტალისტების და მემამულეების ძალაუფლების გარდა იმათ თქვენთვის არაფრის მოცემა არ შეუძლიათ.

ეხლა ყველა პატიოსანმა მუშებმა და გლეხებმა უფრო მჭიდროთ უნდა შეკრან თავიანთი რიგები.

მაშინ უფრო უზრუნველვყოფთ რა ჩვენს საერთო მუშაობას, შევასრულებთ მთავარ მორიგ ამოცანას განთავისუფლდებით სიღატაკისაგან და გაერთიანებული ძალებით შეუდგებით კომუნისტური წესწყობილების დამყარებას.

ამხ. მახარაძის სიტყვის შემდეგ გამოვიდენ მთელი რიგი უპარტიო მუშებისა, მრავალ საწარმოვო კავშირების წარმომადგენლები (რკინის გზელები, აღმშენებელნი, ნავთსადგურის მუშები, დურგლები, გემოკვების კავშირის მუშები, კომუნალურ მეურნეობის მუშები).

ყველა მუშები აცხადებდენ მრისხანე პროტესტს მენშევიკების საზიზღარ ავანტიურის წინააღმდეგ.

— მენშევიკებს უნდოდათ ჩვენი მოტყუება, ამღვრეულ წყალში თევზის ჭერა,—ამბობს მტვირთავი გეგელაშვილი,—მაგრამ ეს იმათ ვერ მოახერხეს. ლენინიზმს ისინი ვერასოდეს ვერ მოსპობენ. ჩვენ, უპარტიო მუშები აღშფოთებული ვართ და მოვითხოვთ მუშათა **საქმის ვერაგ გამცემლების სასტიკად დასჯას**. აჭარისტანის საგანგებო კომისია სავსებით სწორად მოიქცა, როდესაც მათი მეთაურები გაგზავნა, სადაც ჯერ არს. ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ჩვენს წინამძღოლ კომპარტიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებულნი. (ხელს ართმევს ფ. მახარაძეს).

კრების თავმჯდომარე სწყვეტს შემდეგ ორატორების გამოსვლებს და აღნიშნავს, რომ ბევრი უპარტიო მუშები, სხვა კავშირების წარმომადგენლები ითხოვენ სიტყვას ფილიპე მახარაძის მისასალმებლად და მენშევიკების ავანტიურის წინააღმდეგ პროტესტის გასაცხადებლად.

ყველა მუშების თხოვნით, ის მიმართავს ამხ. ფილიპეს და ამბობს:

„აჭარისტანის უპარტიო მუშები გავალებენ თქვენ გადასცეთ თბილისში ამიერ-კავკასიის სახ. კომისართა საბჭოს, ცაკს, პარტიას და ყველა საბჭოთა და პარტიულ დაწესებულებებს, რომ ჩვენ მოვითხოვთ **ბანდიტების სასტიკად დასჯას** (ხანგრძლივი ტაში). ჩვენ არავის არასოდეს არ დავანებებთ ოქტომბრის მონაპოვარს. ჩვენ ყოველთვის ვიქნებით კომპარტიასთან ერთად.

უკანასკნელი სიტყვები იფარება მქუხარე ტაშით.

კრება ერთხმად, საერთო აღფრთოვანებით იღებს რეზოლიუციას, რომელშიაც აჭარისტანის უპარტიო მუშები, აღნიშნავენ რა მენშევიკურ ავანტიურის ბანდიტურ ხასიათს, რომელსაც შედეგათ მოჰყვა გლეხური მეურნეობის ნგრევა და უდანაშაულო სისხლის დვრა, მოითხოვენ პარტიასა და საბჭოთა ხელისუფლებისაგან ავანტიურის მეთაურები და ყველა აქტიურ მონაწილეების **სასტიკად დასჯას**. რეზოლიუცია წინადადებას იძლევა მხედველობაში იქნას მიღებული მომავალში ის გარემოება, რომ მენშევიკები არიან მშრომელთა მტრები. ამიტომ მათი ადგილი საბჭოთა დაწესებულებებში კი არა, სულ სხვაგან არის.

ინტერნაციონალის სიმღერით კრება იხურება, მუშები ოვაციებს უმართავენ ფილიპე მახარაძეს და ხელით გამოჰყავთ ის ავტომობილამდე.

აი ვინ არიან მენშევიკების დამხმარენი.



თავადი.

არ მაკლია იარაღი, მაქვს დამბაჩა, თოფი, ხმალი
სპილოსებრ ცქვიტი ბიჭი ვარ, ისევ კარგათ მიჭრის თვალი.
ვით მენშევიკს გამასუქებს ბურჟუების ნასუფრალი.
თავადებო, დრო გიდგებათ დავსჭექოთ ყველამ ლაშქრული.
დავამარცხოთ ღარიბები, დავიბრუნოთ კვლავ მამული
(ამნაირათ ქადაგობდა ეს საბრალო პაპაული).

(გაგრძელება ხვალინდელ №-ში).

ბათომში.

29 აგვისტოს, თბილისის მუშების დახვრეტის დღეს, ბათომში მუშაობა შეწყდა. დილიდანვე ვიღაც ბნელმა პირებმა დაიწყეს პროვოკაციული ხმების გავრცელება „დიდი აჯანყებების" შესახებ, რომლებიც ვითომ და მთელ საქართველოს მოედო. საქმე იქამდე მივიდა, რომ ბათომელი ქორიკანები შეიკრიბენ ზღვის პირას და გაჰყურებდენ ჰორიზონტს, ხომ არ გამოჩნდება იქიდან უცხოეთის ფლაგიო. შუადღისათვის ქალაქის ქუჩებში გაკრული იყო ბრძანება № 1, რომელშიაც ნათქვამი იყო, რომ დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ადგილებში მენშევიკების ბელადებ შეეცადენ მოეწყოთ გამოსვლა და რომ ამ გამოსვლების ჩასაქრობათ მოეწყო საგანგებო ხუთეული. ქალაქში სამხედრო წესები გამოცხადდა.

განწყობილება ერთბაშად გამოირკვა, მიუხედავათ იმისა, რომ მთელი დღის განმავლობაში არ მოსულა მატარებელი თბილისიდან: მუშები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული ამ ბანდების ლიკვიდაციაში.

30 აგვისტოს, ფაბრიკა-ქარხნებში

ეროვნული

ამას რაღას ეტყვით, მუხანათებო!

ქვემოთ ჩვენ ვათავსებთ ვანო ხმალაძის წერილს.

მას კარგათ იცნობს ბორჯომის ხეობის გლეხობა.

ხმალაძე უწინ მენშევიკური პარტიის წევრი იყო და ბორჯომისაკენ სამუშაოთ ჰყავდათ მენშევიკებს გაგზავნილი.

მას მინდობილი ჰქონდა ამ რამოდენიმე წლის წინათ ამ კუთხეში აჯანყების მოწყობა.

ხმალაძემ უარი თქვა ასეთ საშინელ ბოროტმოქმედების ჩადენაზე.

მენშევიკებმა ის ამისათვის მოღალატეთ მონათლეს.

მაგრამ ხომ მარტო ხმალაძეს არ რგებია ასეთი ბედი მენშევიკებისაგან?!

ამ სახელით მონათლეს მათ ყველა ის მუშები და გლეხები, რომლებიც გამოერკვენ, გონს მოვიდენ და მენშევიკურ პარტიას თავი დაანებეს.

მენშევიკების უჯაროთ დარჩენილი ლენერლები დღეს მხოლოთ სოფლისა და ქალაქის ნაძირალებს ეყრდნობიან.

ყაჩაღები, ქურდები, ვაჭრები, სამღვდელოება და თავად-აზნაურობა, აი მათი ძალა და მათი ლაშქარი.

ქართველი მუშები და გლეხები დღეს მთელ საქართველოს მიწა-წყალზე მაგარი რკინის ცოცხით თავს უყრის და სამარეს აბარებს ამ ნაგავს.

პასუხისმგებლობას, იცოდენ, ვერავინ გაექცევა!

დაუსჯელათ ვერავინ შეინარჩუნებს მშრომელი ხალხის სისხლს.

შორს ჩვენგან სისხლში გასვრილი ხელები.

ქ. ბორჯომის ხეობის, ახალციხე-ახალქალაქის მაზრების მშრომელ გლეხობის და ყოფილ გვარდიელების საყურადღებოთ·

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მენშევიკური ცეკას მთელი მოღვაწეობა იქითკენ იყო მიმართული რომ არსებულ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ აჯანყება მოეწყო.

ამ მიზნის განსახორციელებლათ სოციალ-დემოკრატიული პარტია შეუკავშირდა ნაციონალ-შოვინისტურ პარტიებს: ეროვნულ დემოკრატებისას და მემარჯვენე ფედერალისტებისას.

საბჭოთა ხელისუფლების დამხობის სურვილმა ისე დააბრმავა მენშევიკები, რომ „მშრომელთა მტრებს, საზოგადოების ნაძირალებს“ შეეუღლენ, გვერდში ამოუდგენ, ფეხქვეშ გასთელეს წითელი დროშა და შემოკრბნენ სამფეროვან დროშის ირგვლივ. ხალხის ეკონომიურ ცხოვრებაში, „მშრომელთა ოჯახში არევ-დარევის შეტანა“ — აი მიზანი აღნიშნულ პარტიებისა და ამისთვის არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ:

„სოფლებიდან გაძევებული ქურდბაცაცები, ტყეში გახიზნული სისხლის სიმართლის ყაჩაღები.

„ყოფილი თავად-აზნაურები,

განდევნილი აფიცრები,

სოფლის მევახშეები რომლებსაც ხალხმა ყვლეფა-გლეჯის მადა შეუმცირა.

მღვდლები და საზოგადოთ ყველა ვინც კი უკმაყოფილო იყო.

აი ლაშქარი მენშევიკ-ნაციონალ დემოკრატ-ფედერალისტებისა.

რა უნდა ამ ხალხს.

რას ედავებიან მშრომელ მასას და მის მიერ ამორჩეულ ხელისუფლებას?

პასუხი მხოლოდ და მხოლო ერთია:

ძველი ბატონობის დაბრუნება, სხვის უბედურობაზედ თავის ბედნიერების განმტკიცება,

მუშების და გლეხების კისერზედ ჯდომა.

ქართველი ერის კეთილდღეობა მით იმდენად აინტერესებთ, რამდენათაც თვით დაიმკვიდრებენ განცხრომით ცხოვრების საშუალებას.

აი ასეთი ხალხი არავითარ საშუალებას არ ერიდება, თავიანთ ბინძური ზრახვების შესასრულებლათ.

დაცემა, ძარცვა-გლეჯა.

მატარებლის დამსხვრევა.

პასუხისმგებელ ამხანაგების გატაცება.

მშვიდობიან მცხოვრებლების მუშაობის შეჩერება და ბურჟუაზიულ ევროპის ჯარების მოწვევა. აი რა ახასიათებს მენშევიკების მოღვაწეობას საქართველოში.

და აი ამის შემდეგ ეს უტიფარი, ყოვლად უსინიდისო ხალხი ჰბედავს და ერის განთავისუფლებაზედ ლაპარაკობენ.

მათი მოქმედება კი სულ საწინააღმდეგოს ლაპარაკობს

მათ ერი მხოლოდ და მხოლოდ დაღუპვის კარამდის მიჰყავს.

ერის ბედს უპასუხისმგებლო ბანდებს ხელში უგდებენ, ამ საზიზღრებს ხალხის გმირებათ ნათლავენ

ამ რვა თვის წინედ მე მენშევიკურ ცეკას შავ-ბნელ მოღვაწეობას ფარდა ავხადე.

მათი ავანტიურისტული სულის კვეთება, მენშევიკების ნამდვილი სახე ფართო მასსას დავანახვე და მოუწოდე ყველას, რომ ზურგი შეექციათ მათთვის, როგორც ერის მოღალატეებისათვის, ხალხის მტრებისათვის.

მე ვამბობდი, რომ მენშევიკები ერის ინტერესს თავიანთ ჟინიანობას ანაცვალებდენ.

ბევრს არა სჯეროდა, რომ ოდესღაც მუშათა სახელის მატარებელი პარტია ყაჩაღების სულის ჩამდგმელათ გადაიქცეოდა, საქართველოს ხალხს სისხლის მორევს, სასაკლაოს მოუმზადებდა, ყაჩაღების სათარეშო მოედნათ გადააქცევდა ჩვენს კუთხეს.

ბევრს და სამწუხაროდ ზოგ-ზოგ ამხანაგს ყოფილ მენშევიკს არა სწამდა, რომ მენშევიკები ავანტიურის გზას დაადგებოდენ, მხოლოდ იმისთვის რომ ლიდერებს „დაკარგული სამოთხე“, „პორტფელები“ „მინისტრობის“ ხარისხი დაჰბრუნებოდათ და ქართველი მუშა და გლეხი ევროპის კაპიტალის მონად გადაექციათ.

დიახ, ბევრს არა სჯეროდათ ის, რასაც მე ვამბობდი, რაც მე ვამხილე, გამოვაშკარავე.

თვით მენშევიკებმა თავიანთ გაზეთ „ჩვენი ერთობაში“ № 9 და 10 მე მოღალატე, გამცემი მიწოდეს.

ჩემი წერილები „ჩეკის“ მიერ ნაკარნახევათ გამოაცხადეს და უსირცხვილოდ, უტიფრათ აცნობეს ხალხს რომ ვ. ხმალაძის წერილეი სიმართლეს არ შეიცავენ და პროვოკაციაო, მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან კარგათ იცოდენ რომ არავითარ „ჩეკას“ არ შეეძლო ეთქმევინებია ჩემთვის სიცრუე.

დღეს მათდა საუბედუროთ გაამართლა ყოველისფერი ის, რაც მე ხალხს ვაუწყე იანვარში. დღეს ყველამ დაინახა ის რომ მე კი არა, არამედ ბ-ნი მენშევიკები და მათი დამქაშები ნაციონალ-დემოკრატები, ფედერალისტები ყოფილან ხალხის მტრები, მოღალატენი.

ადამიანის გონება ძნელად წარმოიდგენდა ისეთ ღალატს, რომელიც მათ ჩაიდინეს დღეს მშრომელთა წინაშე, და ეს ჩაიდინეს ევროპაში განგაშის მოსახდენათ, პუანკარე ერიოს ასალაპარაკებლად საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

ყაჩაღური გამოსვლები მათ უნდოდათ ხალხის აჯანყების სახელით მოენათლათ, მაგრამ მწარედ მოსტყუვდენ, ანგარიში შეეშალათ და ამით სამუდამოთ თავი დაისამარეს.

ჯერ ისევ 1922 წლის დასაწყისიდან მენშევიკური ცეკა ბორჯომის ხეობას და მესხეთ-ჯავახეთს სთვლიდა საქართველოს ისეთ კუთხეთ, სადაც მისი აზრით პირველათ უნდა ამართულიყო აჯანყების დროშა.

სათანადო მზადება სწარმოებდა. ამისათვის გასულ წელს ცეკამ გამგზავნა „სამუშაოდ“ ამ კუთხეში.

წინდაწინვე გათვალისწინებული ჰქონდა ცეკას მუშაობის ნაყოფი, ვინაიდან იცოდა რომ მე, როგორც იქაურ მცხოვრებს, დიდი გავლენის პატრონს ხალხის სიყვარულით დამსახურებული და გვარდიის საოლქო შტაბის ყოფილი თავმჯდომარე, ბევრს გავაკეთებდი.

აჯანყების ხელმძღვანელიც მე უნდა ვყოფილიყავი.

მაგრამ არა გამიკეთებია—რა, ვინაიდან პირადათ მე ავანტიურისა არ მწამდა—რა და, რა თქმა უნდა, ხალხსაც შეცდომაში ვერ შევიყვანდი, მით უმეტესად, რომ მესხეთ-ჯავახეთის და ბორჯომის ხეობისათვის, რომელნიც ოსმალეთის საზღვრებთან არიან მიკრულნი, ავანტიურას საშინელი შედეგი მოჰყვებოდა.

საბედნიეროდ, ამ კუთხის მშრომელი მასსა არ წამოჰგებია მენშევიკების ანკესს.

იქ გამოსვლებს ალაგი არ ჰქონია და არც ექნებათ.

მე მსურს ბორჯომის ხეობის და მესხეთ-ჯავახეთის მშრომელებს და ყოფილ სახალხო გვარდიელებს ერთხელ კიდევ გავუმეორო ის, რომ მენშევიკების ავანტიურას ალაგი რომ ჰქონებოდა საქართველოს ამ კუთხეში საშინელი ბოლო მოჰყვებოდა და რანაირი:

მესხეთ-ჯავახეთის ნახევარი ნაწილი ეკუთვნოდათ ბეგებს. მათ ადგილ-მამული ეხლა ჩამორთმეული აქვთ. ამ გარემოებამ ბევრი მათგანი გააბრაზა, ბევრი და მათ შორის ცნობილი სერვერ ბეგი ათაბეგოვი გაიხიზნენ ოსმალეთში და იქიდან დაუწყეს კბენა გლეხობას.

ადგილობრივი მოლები და დარჩენილი ბეგები მათ ხელს უწყობდენ.

1918 და 19 წლების განმავლობაში ორჯერ შემოესია სერვერი მესხეთ-ჯავახეთს, ცეცხლსა და მახვილს მისცა ეს კუთხე ოსმალეთის ურდოების დახმარებით, ააწიოკ გლეხობა დააზარალა.

ბორჯომის ხეობა ლტოლვილებ ველარ იტევდა. მრავალი დაიხოც და ოდესღაც მდიდარი კუთხე განადგურდა.

დღესაც იქაური გლეხი—ეროვნების განურჩევლათ წელში ვე გასწორებულა. და ასეთ გაჭირვები დროს „მენშევიკების ხელის უფლებამ-ორჯერ უღალატა იქაურ ხალხს, თვითონ უტია და ბედი ანაბარა მიატოვა გლეხობა“.

სერვერ-ბეგს და მის მსგავსებ დღესაც არ სძინავთ.

ეძებენ შესაფერისს საბაბს, რო გლეხობას კვლავ ზურგში მახვილ ჩასცენ, უკან დაიბრუნონ ჩამორთმეული მამულები, გააღვიონ დასახლებულ ერთა შორის ცეცხლი.

ასეთ შესაძლებლობას, ასეთ გარემოებას ქმნიან მენშევიკები დ აი ამ მხრივ მათ ავანტიურას პირდაპირ გლეხების დამღუპველი შ დეგები მოჰყვებოდა.

არ უნდა დაავიწყდეთ ბორჯ მელ გლეხებს და მესხეთ-ჯავახელ განვლილი შავბნელი დღეები, მე შევიკების ბატონობის მიერ მიყენ ბული, მათი ღილატი, მათი სახლკარის ოხრება, განვლილი შიშ ლტოლვილები, ბეგების შემოსე და სხვ.

მათ ჰმართებთ შეუყვირონ მე შევიკებს და მათ დამქაშებს: შორ ჩვენგან სისხლში გასვრილი ხელ ბი.

სიკვდილი მოღალატეთ!.

არავითარი დანდობა, არავითარ ლმობიერება!.

ვანო ხმალაძ

(,,მუშა‘‘).

მუშაობის გათავების შემდეგ, თავი მოიყარა 500-დი მუშამ, რომლებიც თავისი ინიციატივით, მწყობრი რიგებით გაემართენ პროფსაბჭოს შენობისაკენ და საგანგებო ხუთეულს დელეგაცია გაუგზავნეს. დელეგაციამ განაცხადა, რომ მუშები ვერ დარჩებიან განზე პარტიისაგან იმ დროს, როცა მოღალატე მენშევიკები მუშური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლებს ამზადებენ. მუშების სახელით დელეგაციამ მოითხოვა მუშების შეიარაღება, რომ დაუყოვნებლივ წასულიყვნენ ბანდების სალიკვიდაციოდ.

ხუთეულის წარმომადგენლებმა გააცნეს მუშების კრებას მომხდარი ამბები და აღნიშნეს, რომ პარტია ყოველთვის დარწმუნებული იყო, რომ მუშები ამისთანა შემთხვევაში თავის მოვალეობას შეასრულებენ.

მქუხარე, რისხვის გამომხატველი კიჟინით:

— გვაძლევთ ავანტიურისტ-მენშევიკებს?

— მოვითხოვთ დაუყონებლივ შეიარაღებას და გაგზავნას ჩვენი ხელისუფლების დასაცავად!

— უპასუხეს მუშებმა ხუთეულის მოხსენებაზე. არასოდეს არ სმენია ბათომს „ინტერნაციონალის“ ასეთი მედგარი გუგუნი

მუშები იქვე შეიარაღეს. მათგან შეადგინეს მებრძოლი პროფესიონალი რაზმები, რომლებიც გაემართენ ნავთის რეზერვუარების, ქალაქის საზოგადოებრივ ადგილების და დაწესებულებების დასაცავად.

ნაშუადღევის სამ საათზე ყველა საწარმოო კავშირების დანარჩენი მუშების მოთხოვნით, გაიმართა მუშების საერთო კრება, რომელზედაც პარტიული კომიტეტის წარმომადგენლებმა გააკეთეს საინფორმაციო მოხსენება მომხდარი ამბების შესახებ.

ერთხმად მიღებული, ყოველგან თვით მუშების მიერ წარმოდგენილ რეზოლიუციებში, კავშირის წევრები სასტიკ პროტესტს გამოსთქვამდენ გახრწნილი მენშევიზმის საზიზღარი ნაშთების ავანტიურის წინააღმდეგ და აცხადებენ, რომ ისინი იმყოფებიან ხუთეულის სრულ განკარგულებაში, ყოველ წუთში, როცა ეს საჭირო დარჩება.

ახლა ქალაქში სრული სიწყნარეა. ყველა წარმოებებში და დაწესებულებებში მუშაობა განახლდა. მუშათა რაზმები, კომკავშირები და განსაკუთრებული დანიშნულების ნაწილები ფხიზლად იცავენ ქალაქს.

მუშების აღფრთოვანებამ და სიმტკიცემ დამშვიდება შეიტანა მთელს ქალაქში.

ბათომის მუშებმა ერთხელ კიდევ დაადასტურეს თავისი ერთგულება პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი, რომელსაც ისინი მზად არიან გვერდში ამოუდგენ უძნელეს მომენტში.

ახალი ამბები.

— **სამხედრო ტრიბუნალში.** 3 სექტემბრამდე სამხ. ტრიბუნალში არაა საქმეები დანიშნული. 9-ში კი გაირჩევა საკ. ასეულის წით. არმ. გიორგი ლვინიაშვილის საქმე, რომელსაც ბრალდება დეზერტირობა და სხ. ქონების გაფლანგვა.

— **წიგნების გაგზავნა სოფლებში.** ტფილისის პოლიტგანყოფილებამ ამ წლის განმავლობაში დაარიგა სოფლებს შორის 15.000 ახალი წიგნი.

— **ფუნიკულიორი.** 7 თვის მუშაობის განმავლობაში ფუნიკულიორზე ასულა 67.584 მოქალაქე.

— **სახელოსნოები სკოლებთან.** ტფილ. სახ. განათლების განყო ლების ქვემდებარე სკოლებთან გ სნილია სხვა და სხვა ხასიათის ხელოსნოები, სულ 73 სახელ ნო.

— **სავაჭროების რიცხვი სა რთველოში.** უკანასკნელი სტატ ტიკური ცნობებით მთელ საქ თველოში ამ ჟამად ითვლება 10.2 სავაჭრო დ წესებულება.

— **ინვალიდების საყურად ბოთ.** შრომის და ომის ინვალი ბის საყურადღებოთ ცხადდება, რ სოც. უზრ. კომისარიატის ტფი სის განყოფილება დაარიგებს წყ მოწმობებს 15 სექტემბრიდან.

ნ. დ. ს. ც. ტირაჟი 1500 სამხედრო სტამბა კეცხოველის ქ. 3. პასუხისმგებელი რედაქტორი—პ. ბუაჩიძე